12712	სუბტროპიკული კულტურების წარმოებისა და ტექნოლოგიის	ხიფოს წარმოების წარმოება	ქართ.	120	1000	9		12										2

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი 136

მისამართი: 7000, ქ. ქუთაისი, ა. გამსახურდიას N. N43/ა
საკონტაქტო ტელეფონები: 8(231)-70911, 899 50645; ელფოსტა: admin@kutmusicollege.edu.ge
განსაკუთრებული მოთხოვნები: - ფაკულტეტი და პროფესიული პროგრამა შეესაბამება ტექნიკურ განათლებულია.

მიმართულების დასახელება	პროფესიული პროგრამის დასახელება	ენა	ფასი	ადგილთა რაოდენობა	ხანგრძლივობა	1	2	3	4	5	6	7	7*	7**	შერჩევითი ტესტები I	II	III	კოდი
13605	საკრავიერი შესრულებლობის	ფორტეპიანო და სოფლეტური საკრავები	ქართ.	180	1750	15									10	7		8 9
13606	ვოკალური	ვოკალური ხელოვნება	ქართ.	180	1250	10									10	2		8-9
13607	საკუთარი-ხალხური	საკუთარი-ხალხური	ქართ.	180	1750	5									10	7		8 9

ძ. ფოთი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - ფოთის კოლეჯი 139

მისამართი: ფოთის შესასვლელი, ქ. ფოთი, უნივერსიტეტის ქ. N11.
საკონტაქტო ტელეფონები: 890 790990, 899 418444
განსაკუთრებული მოთხოვნები: -

მიმართულების დასახელება	პროფესიული პროგრამის დასახელება	ენა	ფასი	ადგილთა რაოდენობა	ხანგრძლივობა	1	2	3	4	5	6	7	7*	7**	შერჩევითი ტესტები I	II	III	კოდი
13906	ეკონომიკისა და ბიზნესის	საფინანსო, საბანკო და საგადახდო საქმე	ქართ.	150	1500	15		12										2
13908	ეკონომიკისა და ბიზნესის	სასტუმროების, რესტორნების და სპეციალური ვაჭრობისთვის პერსონალის ადმინისტრატორი	ქართ.	180	1400	70		12										7
13915	ეკონომიკისა და ბიზნესის	მენეჯერობის ბიზნესის ადმინისტრირება	ქართ.	180	1400	70		12										7
13916	ეკონომიკისა და ბიზნესის	მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრირება	ქართ.	180	1500	20		12										2

ძ. ხულო

წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტი 142

მისამართი: ხულო, ტიფლისი-ბაქოს ქ. N9; შუახევი, ხიბულანი
საკონტაქტო ტელეფონები: 895 171465, 895 171452, 898 115432, 891 202939
განსაკუთრებული მოთხოვნები: -

მიმართულების დასახელება	პროფესიული პროგრამის დასახელება	ენა	ფასი	ადგილთა რაოდენობა	ხანგრძლივობა	1	2	3	4	5	6	7	7*	7**	შერჩევითი ტესტები I	II	III	კოდი
14208	ბუღალტერ	ზოგადი პროფილის ბუღალტერ	ქართ.	180	2250	70	10	2										1-2

ინფორმაცია

მიმართული სამეგობრო ეროვნული ერთიანი გამოცდების ინფორმაციული ბიულეტენი

გამოცდების ეროვნული ცენტრი აცნობებს აბიტურიენტებს, რომ **მიმართული სამეგობრო ეროვნული ერთიანი გამოცდების** (აბიტურიენტი) ინფორმაციის ცენტრებში, თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ESM ბიზნესის სკოლის, ESM ბიზნესის ქალაქ-ფილიალებში, ქალაქ-ფილიალებში ეროვნული ბიბლიოთეკის ESM ბიზნესის ფილიალებში (ბიბლიოთეკა) ისარგებლეთ 2009 წლის ეროვნული ერთიანი გამოცდების მიზანდასახულად ინფორმაციის მიღებისა-ვე ეროვნული სიფიცრით – ამ ფინანსურ-ეკონომიკურ ინფორმაციებზე, ინფორმაციებზე ეროვნული ინფორმაციებზე, ინფორმაციებზე ეროვნული ინფორმაციებზე, ინფორმაციებზე ეროვნული

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2009

ძვირფასო აბიტურიენტებო! გამოცდების ეროვნული ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი ეროვნული გამოცდების მომზადებასა და ჩატარებას, გთავაზობთ თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას 2009 წლის გამოცდების შესახებ

2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მთავარი სიახლეები

- 2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრა 25 ქულით, უცხოური ენებისათვის 20 ქულით (და არა 14 ქულით, როგორც ეს 2009 წლამდე იყო დადგენილი), შესაბამისად, აბიტურიენტმა უნდა მიიღოს 26 ქულა (უცხოური ენების გამოცდაში 21 ქულა), რომ გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- უმაღლეს სასწავლებლებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ კონკრეტული ფაკულტეტებისათვის ჩასაბარებელი უცხოური ენა – ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული). რამდენიმე ენის მითითების შემთხვევაში აბიტურიენტი ირჩევს ერთ-ერთს.
- 2009 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი სასწავლებლების ცალკეული ფაკულტეტები მოითხოვენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ტესტის განსხვავებული საგნობრივი ნაწილების ჩაბარებას. აბიტურიენტებს უფლება აქვთ, განაცხადში მიუთითონ ორი ან მეტი იმგვარი ფაკულტეტი, რომლებმაც განსხვავებული საგნობრივი ნაწილები მოითხოვეს, გამოცდაზე მათ საშუალება მიეცემათ, შეასრულონ ყველა მითითებული საგნობრივი ნაწილის დავალებები.
- უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტების მიერ გამოცდებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების ჯამი განისაზღვრა 12-ით.
- 2009 წლიდან აღარ იქნება შესაძლებელი წინა წელს მიღებული ქულების გამოყენება.

როგორ განისაზღვრება ჩასაბარებელი გამოცდების რაოდენობა უმაღლესი პროფესიული პროგრამებისათვის?

უმაღლესი პროფესიული პროგრამით სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად მსურველებმა აუცილებელად უნდა ჩააბარონ ზოგადი უნარების გამოცდა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კონკრეტული პროგრამისათვის განსაზღვრული გამოცდა (იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ისარგებლებს ასეთი გამოცდის დაწესების უფლებით).

სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა უნდა გაიარონ შესაბამისი შემოქმედებითი ტურები.

რამდენად აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის?

სპეციალური შემოქმედებითი ტურების გავლის შემდეგ სამი სავალდებულო გამოცდის ჩაბარება აუცილებელია სახელოვნებო პროფილის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიურ პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლადაც.

აღნიშნული ტურები ჩატარდება ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე. ზუსტი ინფორმაციის მისაღებად აბიტურიენტებმა უნდა მიმართონ შესაბამის სასწავლებლებს (ტურების ჩატარების განრიგი გამოქვეყნდება გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზეც).

შეუძლია თუ არა აბიტურიენტს გამოცდების რუსულად ჩაბარება?

აბიტურიენტს უფლება აქვს მათემატიკის, საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოცდა ჩააბაროს როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებზე, მიუხედავად იმისა, თუ რა ენაზე სწავლობდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარება შესაძლებელია ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

როგორ გაიცემა სახელმწიფო სასწავლო გრანტი?

- სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა მხოლოდ ზოგადი უნარების სკალირებული ქულის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს (მიიღებს მინიმუმ 26 (უცხოური ენების შემთხვევაში 21) ქულას) მის მიერ მითითებულ ყ ვ ე ლ ა გამოცდაში და ჩაირიცხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 2250 ლარს ერთი სასწავლო წლისათვის (სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების მაქსიმალური საფასურის შესაბამისად). გრანტის მიღების შემთხვევაში, სხვაობა დაფინანსების ოდენობასა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფაკულტეტების მიერ დადგენილ სწავლების საფასურს შორის (თუ სწავლების საფასური აღემატება გრანტის მაქსიმალურ ოდენობას ან სტუდენტმა მიიღო ნაწილობრივი დაფინანსება) სტუდენტებმა თავად უნდა დაფარონ. მათ, ვინც ჩაირიცხა, მაგრამ ვერ მოიპოვა სახელმწიფო გრანტი, თავად მოუწევთ საკუთარი განათლების დაფინანსება. იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი არ გამოცხადდა მის მიერ მითითებულ რომელიმე გამოცდაზე ან ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი რომელიმე გამოცდაში, იგი ვერ მიიღებს მონაწილეობას საგრანტო კონკურსში. სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებენ მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტები. 2009 წელს გაიცემა სრული (100%) და ნაწილობრივი (30%-იანი, 50%-იანი და 70%-იანი) დაფინანსება როგორც აკადემიური ფაკულტეტების, ისე უმაღლესი პროფესიული პროგრამებისათვის.

მიეცემათ თუ არა 2009 წელს სტუდენტებს შესაძლებლობა მოიპოვონ ან გაიუმჯობესონ სახელმწიფო დაფინანსება?

2005-06-07-08 წლებში აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, მოიპოვონ ან გაიუმჯობესონ სახელმწიფო დაფინანსება. სტუდენტებისათვის ორგანიზებულ საგრანტო კონკურსში გრანტის მოსაპოვებლად სტუდენტებმა უნდა ჩააბარონ გამოცდა ზოგად უნარებში. სახელმწიფო სასწავლო გრანტი განსაზღვრულია 30, 50, 70 და 100 პროცენტით.

გარდა ამისა, 2009 წელს სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ერთდროულად, მიიღონ მონაწილეობა როგორც საგრანტო, ისე კონკრეტულ ფაკულტეტებზე ჩასარიცხ კონკურსშიც. ამასთან, საგრანტო კონკურსისათვის სტუდენტი რეგისტრირდება უმაღლეს სასწავლებელში, ჩარიცხვის კონკურსისათვის კი – რესურსცენტრში ან შესაბამის სარეგისტრაციო პუნქტში.

რა უნდა გაითვალისწინოს აბიტურიენტმა განაცხადის (სარეგისტრაციო ანკეტის) შევსებისას?

გთავაზობთ განაცხადის მეორე გვერდზე განთავსებულ ინსტრუქციას, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეცნოს აბიტურიენტი:

- თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენი არჩევანი საბოლოოა, ნუ აჩქარდებით და განაცხადი შეავსეთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (მაგრამ რეგისტრაციის დასრულებამდე).
- ყურადღებით შეავსეთ განაცხადი, რადგან მითითებული ფაკულტეტებისა და გამოცდების ჩამონათვალი აღარ შეიცვლება!
- სანამ განაცხადის შევსებას შეუდგებით, ცალკე ფურცელზე ამოიწერეთ საჭირო ინფორმაცია, გადაამოწმეთ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიტანეთ განაცხადის ფორმაში!
- შესაბამის გრაფებში გადაიტანეთ პირადობის მოწმობაში (ან სხვა დოკუმენტში) მოცემული თქვენი სახელი, გვარი, მოწმობის სერია და პირადი ნომერი, ასევე სხვა საკონტაქტო ინფორმაცია.
- ზუსტად განსაზღვრეთ თქვენ მიერ არჩეული ფაკულტეტების რიგითობა!
- ჩამონათვალში ცვლილების შეტანა არ მოხდება!
- დაკვირვებით გადაიტანეთ ფაკულტეტების ან პროფესიული პროგრამების კოდები და დასახელებები შესაბამის გრაფებში.
- ფაკულტეტების ჩამონათვლის შევსებისას ყურადღებით და აუჩქარებლად გადაიტანეთ ფაკულტეტის ან პროფესიული პროგრამის კოდი და დასახელება შესაბამის გრაფაში!
- დაკვირვებით მონიშნეთ გამოცდები, რომელთა ჩაბარებასაც აპირებთ, რადგან განაცხადში მითითებული გამოცდების ჩამონათვალი აღარ შეიცვლება!
- კარგად დაფიქრდით, თუ რომელი უცხოური ენის ჩაბარება გსურთ ან რომელ ენაზე აბარებთ დანარჩენ გამოცდებს და მხოლოდ ამის შემდეგ მონიშნეთ შესაბამისი გრაფა, რადგან განაცხადში მითითებული არჩევანი საბოლოოა და ის აღარ შეიცვლება! გახსოვდეთ: თუ ფაკულტეტს მითითებული აქვს კონკრეტული უცხოური ენა, თქვენ ვალდებული ხართ ჩააბაროთ ეს გამოცდა. თუ ფაკულტეტმა არ მიუთითა კონკრეტული უცხოური ენა ან მიუთითა რამდენიმე, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ერთ-ერთი.
- თუ ირჩევთ ფაკულტეტს, სადაც ბარდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, გაითვალისწინეთ: თქვენ უნდა მიუთითოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტი იმ საგნობრივი ნაწილ(ებ)ით, რომელ(ებ)იც მოითხოვა ფაკულტეტ(ებ)მა. თუ ფაკულტეტმა არ მიუთითა კონკრეტული საგნობრივი ნაწილი, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. თუ აირჩევთ ფაკულტეტებს, რომლებიც ითხოვენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტის ჩაბარებას განსხვავებული საგნობრივი ნაწილებით, დაგემატებათ საგამოცდო დრო.
- სწორად მიუთითეთ საგამოცდო ქალაქი – ქალაქის შეცვლის უფლება აღარ გექნებათ.

განაცხადის შევსებისას აბიტურიენტმა ასევე უნდა გაითვალისწინოს:

- ფაკულტეტის მიერ ყოველი გამოცდისათვის მინიჭებული კოეფიციენტი;*
- საგანთა პრიორიტეტი.**

* ფაკულტეტებმა განსაზღვრეს მათთვის მეტად თუ ნაკლებად პრიორიტეტული საგამოცდო საგნები. ისინი ამას ე. წ. კოეფიციენტების საშუალებით ავლენენ (იხ. ჩარიცხვა). საკონკურსო ქულების დათვლა სწორედ კოეფიციენტების მიხედვით მოხდება.

** საგანთა პრიორიტეტის გათვალისწინება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი აბიტურიენტი დააგროვებს ერთნაირ საკონკურსო ქულას ფაკულტეტისათვის გამოყოფილი ადგილების მიჯნაზე.

მაგალითად: ფაკულტეტს აქვს 20 ადგილი, ცხადია, უნდა ჩაირიცხოს საუკეთესო შედეგის მქონე 20 აბიტურიენტი, მაგრამ მე-20 პოზიციაზე აღმოჩნდა ორი ზუსტად ერთნაირი საკონკურსო ქულის მქონე აბიტურიენტი. ამ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მას, ვისაც უფრო მაღალი შეფასება ექნება პრიორიტეტულ გამოცდაში.

ასევე უნდა გაითვალისწინოთ:

- ფაკულტეტებზე არსებული ადგილების რაოდენობა;
- ფაკულტეტებზე სწავლების საფასური;
- ორი არჩევითი გამოცდის მითითების შემთხვევაში ამ გამოცდებისათვის დაწესებული კვოტები.

რა უნდა მიუთითოს აბიტურიენტმა განაცხადში?

განაცხადში აბიტურიენტმა უნდა მიუთითოს:

- საკუთარი რეკვიზიტები (სახელი, გვარი, მოწმობის ნომერი და ა. შ.);
- ჩასაბარებელი გამოცდების ჩამონათვალი;
- შერჩეული ფაკულტეტების ჩამონათვალი კოდების მითითებით, სასურველი არჩევანის რიგითობის მიხედვით (პირველ ნომრად უნდა მიუთითოთ ყველაზე სასურველი ფაკულტეტი, შემდეგ მომდევნო და ა.შ);
- ქალაქი, სადაც გსურთ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება;
- რაიმე ფუნქციონალური დარღვევის შემთხვევაში (მოტორული, სმენითი, მხედველობითი) ივსება განაცხადის შესაბამისი გრაფა. საბუთებს თან უნდა ერთვოდეს ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა.

გამოცდების პერიოდში ინფექციური დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გამოცდების ეროვნულ ცენტრს, რათა ცენტრმა უზრუნველყოს ამ აბიტურიენტთათვის სპეციალური პირობების შექმნა.

რომელ ქალაქებში გაიხსნება საგამოცდო ცენტრები?

საგამოცდო ცენტრები გაიხსნება შემდეგ ქალაქებში:

ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი (2 ცენტრი), ახალციხე, გორი, თბილისი (3 ცენტრი), რუსთავი, თელავი, სიღნაღი, ხულო.

აბიტურიენტმა განაცხადის შევსებისას, შეცდომის დაშვების შემთხვევაში, არ უნდა გადაასწოროს განაცხადში გაკეთებული ჩანაწერი – ასეთ შემთხვევაში უნდა შეივსოს ახალი განაცხადი!

მას შემდეგ, რაც აბიტურიენტი ჩააბარებს შევსებულ განაცხადსა და სხვა საჭირო საბუთებს, განაცხადში მითითებული ფაკულტეტები, მათი რიგითობა, მონიშნული გამოცდების ჩამონათვალი, გამოცდის ჩაბარების ენა და საგამოცდო ქალაქი აღარ შეიცვლება!

რა საბუთები უნდა ერთვოდეს განაცხადს?

განაცხადს უნდა დაერთოს:

- ფერადი ფოტოსურათი – 3X4;
- ბანკის ქვითარი – ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

სსიპ „გამოცდების ეროვნული ცენტრი“
ს/კ: 202198727
„სახალხო ბანკის“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: 220101480
ანგარიში: 33066836

გადახდის დანიშნულებაში უნდა ჩაიწეროს აბიტურიენტის გვარი, სახელი, პირადი ნომერი. თანხის გადახდა შესაძლებელია „სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში.

ერთი გამოცდის ჩაბარების საფასურია 10 ლარი.

რეგისტრაციის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2009

აბიტურიენტს უფლება აქვს, შეავსოს თანხის დაბრუნების მოთხოვნის განაცხადი, რომელშიც მითითებული იქნება თანხის მიღების დრო და ადგილი.

- პასპორტის ან მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი. აბიტურიენტმა, ვისაც არ უსრულდება 16 წელი 10 მარტამდე, უნდა წარმოადგინოს სკოლის დირექტორის მიერ დამოწმებული ცნობა ფერადი ფოტოსურათით;
- საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი. იმ შემთხვევაში კი, თუ აბიტურიენტი დამამთავრებელ კლასში სწავლობს – სკოლის დირექტორის მიერ დამოწმებული ამონაწერი სასკოლო ბრძანებიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ (თუ დოკუმენტი გაცემულია საზღვარგარეთ, მას უნდა ერთვოდეს ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი და განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის (უზნაძის N68) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი);

აბიტურიენტების მიერ შევსებული განაცხადები იგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრში, სადაც ცენტრალიზებულად მოხდება მთელი საქართველოდან მიღებული მონაცემების დამუშავება და მონაცემთა ბაზის შექმნა.

როგორ უნდა განაცხადოს აბიტურიენტმა ინტერნეტის მეშვეობით ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის სურვილის შესახებ?

ცენტრის ვებგვერდზე განთავსდება განაცხადის ფორმა, რომლის შევსებითაც აბიტურიენტი განაცხადებს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის სურვილის შესახებ. აღნიშნულისათვის საჭიროა: აბიტურიენტმა განაცხადის ფორმაში შეიტანოს პირადი ინფორმაცია და საბანკო ქვითრის ნომერი; მიუთითოს შესაბამისი საგნები და მის მიერ არჩეული ფაკულტეტების კოდები. ასევე აბიტურიენტმა ვებგვერდზე უნდა ჩატვირთოს თავისი ფოტო. აბიტურიენტი სარეგისტრაციო ფორმის ამონაბეჭდს მიიღებს გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

სად ხდება ამონაბეჭდების გადამოწმება?

აბიტურიენტი ამონაბეჭდს დასამოწმებლად რეგისტრაციის ადგილზე მიიღებს. განცხადების ასლები იგზავნება სკოლებში და რესურსცენტრებში. აბიტურიენტების განცხადების სკანირებული ვერსია განთავსდება გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე, ხოლო ამონაბეჭდი შესამოწმებლად დაუბრუნდებათ მაისის თვეში რეგისტრაციის ადგილზე. ცენტრში დაბრუნდება მხოლოდ ის ამონაბეჭდი, რომელშიც აბიტურიენტი რაიმე შეცდომას შენიშნავს.

სად მიიღებენ აბიტურიენტები საგამოცდო ბარათებს?

აბიტურიენტები საგამოცდო ბარათებს უშუალოდ სკოლებში მიიღებენ სასწავლო წლის დასასრულამდე; სკოლადამთავრებული აბიტურიენტები კი – რესურსცენტრებში. ბარათზე მითითებული იქნება საგამოცდო ცენტრი, თითოეული გამოცდის თარიღი, რეგისტრაციის დაწყების დრო. საგამოცდო ბარათი, პირადობის მოწმობასთან ერთად იქნება აბიტურიენტის საშვი მთელი საგამოცდო პროცესის განმავლობაში.

სად და როდის გაივლიან აბიტურიენტები შემოქმედებით ტურებს?

სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე ჩაატარებენ სპეციალურ შემოქმედებით ტურებს და შესაბამისი ქულებით შეაფასებენ აბიტურიენტებს. შემოქმედებითი ტურების სახელწოდებებსა და ინფორმაციას მათი ჩატარების ვადებისა და პროცედურების შესახებ გამოაქვეყნებენ თავად ეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. აღნიშნული ინფორმაცია განთავსდება გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზეც.

როგორ მიმდინარეობს გამოცდები?

გამოცდები ჩატარდება 2 ცვლად. პირველი ცვლისათვის რეგისტრაცია დაიწყება 8:00 საათზე. გამოცდა დაიწყება 9:00 საათზე; მეორე ცვლისათვის რეგისტრაცია დაიწყება 14:00 საათზე. გამოცდა დაიწყება 15:00 საათზე. უცხოური ენების გამოცდის მეორე ცვლისათვის რეგისტრაცია დაიწყება 13:00 საათზე, გამოცდა – 14:00 საათზე.

რა უნდა იქონიოს თან აბიტურიენტმა გამოცდაზე გამოცხადებისას?

- საგამოცდო ბარათი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (მათთვის, ვისაც გამოცდების დაწყებამდე არ შესრულებია 16 წელი, სკოლის დირექტორის მიერ დამოწმებული ცნობა ფერადი ფოტოსურათით); რეგისტრაციის გავლის შემდეგ აბიტურიენტს მიაცილებენ სამუშაო მაგიდასთან, სადაც იგი მიიღებს საგამოცდო ტესტს.

როგორ მიმდინარეობს საგამოცდო პროცესი?

მუშაობის დაწყებამდე აბიტურიენტები უნდა დარწმუნდნენ, რომ ტესტი არ არის დაზიანებული, არ აკლია გვერდები და გარკვევით იკითხება. ტესტთან ერთად აბიტურიენტი მიიღებს პასუხების ფურცელს. ანონიმურობის უზრუნველსაყოფად მასზე დაიკვრება ინდივიდუალური შტრიხკოდი; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პასუხების ფურცლის დაუზიანებლობას. არ შეიძლება მათი დაკეცვა ან დაჭმუჭვნა, რაიმე ჩანაწერის გაკეთება (რომელიც არ ეხება ტესტის კითხვების პასუხს). დაუზიანებელი ტესტისა და პასუხების ფურცლის მიღებას აბიტურიენტები დაადასტურებენ სექტორის უწყისში ხელმოწერით; გამოცდის დაწყებამდე აბიტურიენტებს გააცნობენ მათ უფლება-მოვალეობებს, ინსტრუქციას, რის შემდეგაც დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა; ყველა საგამოცდო სექტორში დამონტაჟებული იქნება ვიდეოკამერა, ჩაიწერება მთელი საგამოცდო პროცესი და შეიქმნება ვიდეოარქივი; საგამოცდო დროის ამოწურვის ან აბიტურიენტის მიერ სამუშაოს ადრე დასრულების შემთხვევაში კურატორი ამოწმებს აბიტურიენტის ტესტის რვეულის, პასუხების ფურცლისა და შტრიხკოდის დაუზიანებლობას, რასაც აბიტურიენტი ადასტურებს უწყისში ხელმოწერით და ამის შემდეგ კურატორს აბარებს ნამუშევარს; საგამოცდო პროცესი ამით მთავრდება. პასუხების ფურცლები ბოლო აბიტურიენტის თანდასწრებით ილუქება და იგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრში, სადაც ისინი გასწორდება.

როგორ უნდა მოიქცეს აბიტურიენტი, თუ მიაჩნია, რომ გამოცდის მიმდინარეობისას მის მიმართ დაირღვა დადგენილი წესები ან პროცედურები.

ასეთ შემთხვევაში, აბიტურიენტმა გამოცდის დასრულებიდან 24 საათის განმავლობაში განცხადებით უნდა მიმართოს (ტექნიკური აპელაცია) საგამოცდო ცენტრის ადმინისტრაციას. განცხადება განიხილება ხუთი დღის განმავლობაში და პასუხი ეცნობება განმცხადებელს დაუყოვნებლივ.

რა შემთხვევაში არ სწორდება ნაშრომი?

ნაშრომი არ სწორდება, თუ:

- აბიტურიენტი პასუხების ფურცელს დააწერს სახელს, გვარს ან პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე სხვა ინფორმაციას, მაგ., მეტსახელს ან დაახატავს რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;
- შტრიხკოდი გაფერადებულია ან დაზიანებულია;
- პასუხების ფურცელი შეივსო არა სექტორში დარიგებული, არამედ განსხვავებული კალმით;
- აბიტურიენტი საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ დახურავს ტესტს;
- აბიტურიენტი გაკეცავს პასუხების ფურცელს;
- აბიტურიენტი არ გადაწერს ტესტის პასუხების ფურცელზე მითითებულ სტანდარტულ ფრაზას.

სად და როგორ შეიტყობენ აბიტურიენტები პირველად შედეგებს?

გასწორების პროცესის დასრულების შემდგომ გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსდება ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველადი შედეგები – აბიტურიენტების მიერ თითოეულ გამოცდაში მიღებული ნედლი ქულა. აბიტურიენტები შედეგებს რესურსცენტრებსა და სპეციალურ პუნქტებშიც შეიტყობენ. ყველა აბიტურიენტს ექნება შესაძლებლობა, მიიღოს პასუხების ფურცლების ასლები, რომლებიც ასევე განთავსდება გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. აბიტურიენტი სპეციალური საძიებო სისტემის მეშვეობით, საკუთარი სახელის, გვარის, საიდენტიფიკაციო და პირადი ნომრის მითითებით, შეძლებს იხილოს და ამობეჭდოს პასუხების ფურცლის ასლი სასურველ საგანში;

თუ აბიტურიენტისათვის ინტერნეტი არ არის ხელმისაწვდომი, იგი ასლების მიღებას შეძლებს სპეციალურ პუნქტებში, რომლებიც შედეგების გამოცხადების დროს გაიხსნება.

როგორ ხდება საპრეტენზიო განცხადების შეტანა?

თუ აბიტურიენტი მიღებული ქულებით უკმაყოფილოა, მას შეუძლია გააპროტესტოს ცალკეულ საგამოცდო საგანში მიღებული შეფასება ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველადი შედეგების გამოქვეყნებიდან 5 დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში, მან უნდა შეავსოს საპრეტენზიო განაცხადი. განაცხადის შევსების უფლება აქვს მხოლოდ აბიტურიენტს და მის კანონიერ წარმომადგენელს. განაცხადს თან უნდა დაერთოს დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. საპრეტენზიო განაცხადის განხილვის საფასური განისაზღვრება 30 ლარის ოდენობით (ერთი საგნისათვის). გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

სსიპ „გამოცდების ეროვნული ცენტრი“
ს/კ: 202198727
„სახალხო ბანკის“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: 220101480
ანგარიში: 33066836

გადახდის დანიშნულებაში უნდა ჩაიწეროს აბიტურიენტის გვარი, სახელი, პირადი ნომერი. თანხის გადახდა შესაძლებელია „სახალხო ბანკის” ნებისმიერ ფილიალში.

აბიტურიენტმა საპრეტენზიო განაცხადი უნდა წარადგინოს რესურსცენტრში ან სპეციალურ პუნქტში. განაცხადში მითითებულ უნდა იქნეს იმ დავალებების ნომრები, რომელთა შეფასებასაც აბიტურიენტი არ ეთანხმება. თუ განაცხადში არ იქნება მითითებული დავალებების ნომრები, სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, მთლიანად გადახედოს ნაშრომს.

სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდება განაცხადის შეტანიდან არა უგვიანეს 25 დღისა. იმ შემთხვევაში, თუ აპელაციის შედეგად შეიცვლება ნამუშევრის შეფასება, აპელაციის შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში აბიტურიენტს უფლება აქვს, შეავსოს თანხის დაბრუნების მოთხოვნის განაცხადი გამოცდების ეროვნულ ცენტრში, აქვე შეიტყობთ თანხის მიღების დროსა და ადგილს.

სად და როდის გამოცხადდება ინფორმაცია ჩარიცხვის შესახებ?

სააპელაციო საბჭოს მიერ აბიტურიენტთა საპრეტენზიო განაცხადების განხილვის დასრულების შემდეგ, გამოცდების ეროვნული ცენტრი გამოაქვეყნებს ერთიანი ეროვნული გამოცდების წინასწარ შედეგებს. შედეგების გაცნობა შესაძლებელი იქნება რესურსცენტრებში, სპეციალურ პუნქტებსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.

როგორ ხდება საკონკურსო (სკალირებული) ქულის გამოანგარიშება?

არჩეულ ფაკულტეტზე აბიტურიენტები ჩაირიცხებიან მიღებული საკონკურსო ქულების საფუძველზე. გამოცდა თითოეულ საგანში რამდენიმე სესიად მიმდინარეობს, რაც განაპირობებს საგამოცდო ტესტების სხვადასხვა ვარიანტის გამოყენების აუცილებლობას. შესაძლოა, კონკრეტული საგნის ტესტის სხვადასხვა ვარიანტი, სირთულის თვალსაზრისით, უმნიშვნელოდ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ამიტომ აბიტურიენტებისათვის თანაბარი საკონკურსო პირობების შესაქმნელად გამოიყენება სკალირება. სკალირება უნივერსალური მეცნიერული მეთოდია, რომელიც აბიტურიენტების მიერ მიღებული შედეგების საერთო სტანდარტულ სკალაზე განთავსების საშუალებას იძლევა. სკალირება ტესტის სხვადასხვა ვარიანტში მიღებული ქულების ერთმანეთთან შედარების საშუალებას გვაძლევს და, ამდენად, მაქსიმალურად იცავს აბიტურიენტების ინტერესებს.

როგორ ხდება ჩარიცხვა კონკრეტულ ფაკულტეტზე?

აბიტურიენტის მიერ არჩეულ კონკრეტულ ფაკულტეტზე ჩასარიცხ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა გადალახოთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მიიღოთ მინიმუმ 26 (21 უცხოურ ენებში) ქულა) ამ ფაკულტეტზე სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელ გამოცდებში. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება მხოლოდ ფაკულტეტების მიხედვით.

როგორ გამოიანგარიშება საკონკურსო ქულა თითოეული ფაკულტეტისათვის?

საკონკურსო ქულის (რომლის მიხედვითაც ხდება ჩარიცხვა) გამოანგარიშება ხდება შემდეგნაირად: თითოეული გამოცდის სკალირებული ქულა მრავლდება ფაკულტეტის მიერ მინიჭებულ კოეფიციენტებზე და შედეგები შეჯამდება. მაგალითად: აბიტურიენტმა მიიღო ქართულ ენასა და ლიტერატურაში 151,6; ზოგად უნარებში – 148,3 უცხოურ ენაში – 145,6. ამ გამოცდების კოეფიციენტები ერთ-ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების ჰუმანიტარული ფაკულტეტისათვის შესაბამისად არის 4; 3; 5. ჯამური საკონკურსო ქულა იქნება 151,6X4 + 148,3X3 + 145,6X5 = 606,4 + 444,9 + 728,0 = 1779,3. სხვა ფაკულტეტისათვის, თუ მას განსხვავებული კოეფიციენტები აქვს მინიჭებული ამ გამოცდებისათვის, ანალოგიური წესით გამოთვლილი ჯამური საკონკურსო ქულა განსხვავებული იქნება. კონკრეტული ფაკულტეტისათვის საკონკურსო ქულის გამოთვლისას უნდა გამოიყენოთ მხოლოდ იმ გამოცდების შედეგები, რომლებიც მითითებული აქვს ამ ფაკულტეტს.

როგორ განისაზღვრება, მითითებული ფაკულტეტებიდან რომელზე უნდა ჩაირიცხოს აბიტურიენტი?

თუ აბიტურიენტის მიერ მიღებული საკონკურსო ქულები საკმარისი არ აღმოჩნდა მის მიერ მითითებული რეიტინგული ჩამონათვალის პირველ ფაკულტეტზე ჩასარიცხად, მაშინ განიხილება ჩამონათვალში მითითებულ მეორე ფაკულტეტზე მისი ჩარიცხვის საკითხი და ა. შ. იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი ჩაირიცხა რეიტინგული ჩამონათვალის რომელიმე ფაკულტეტზე, მაშინ რეიტინგულ სიაში მითითებულ მომდევნო ფაკულტეტზე მისი ჩარიცხვის საკითხი აღარ განიხილება. კონკრეტულ ფაკულტეტზე ჩარიცხვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკონკურსო ქულას და არა ამ ფაკულტეტის რიგით ნომერს აბიტურიენტის რეიტინგულ ჩამონათვალში.

რას ნიშნავს მეორადი ჩარიცხვები?

თუ აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება მის მიერ მითითებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვერც ერთ ფაკულტეტზე და თუ უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტების ჩარიცხვის შემდეგ დარჩა ვაკანტური ადგილები, მას მიეცემა საშუალება, ამ ადგილებზე კიდევ ერთხელ გააკეთოს განაცხადი. ამ შემთხვევაში მისი ჩარიცხვის საკითხის განხილვა მოხდება ზემოთ მოყვანილი წესის მიხედვით. მეორად ჩარიცხვებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ვერ ჩაირიცხნენ მათ მიერ მითითებულ ვერც ერთ ფაკულტეტზე და გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი იმ გამოცდებში, რომლებიც აუცილებელია მათ მიერ შერჩეული ფაკულტეტებისათვის.

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2009

სად შეიტყობენ აბიტურიენტები საბოლოო შედეგებს?

მეორადი ჩარიცხვების განხორციელების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით, ამტკიცებს ჩარიცხულ აბიტურიენტთა სიას. ჩარიცხულთა საბოლოო სია განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე და დაიგზავნება რესურსცენტრებში. ჩარიცხვების პროცესის დასრულების შემდეგ აბიტურიენტები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს, რომელშიც მითითებული იქნება: ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულები, მოიპოვა თუ არა აბიტურიენტმა გრანტი და ჩაირიცხა თუ არა იგი კონკრეტულ ფაკულტეტზე. უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტების სერტიფიკატები გაიგზავნება შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატისა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატის (ან მასთან გათანაბრებული საბუთის) საფუძველზე აბიტურიენტი აფორმებს ხელშეკრულებას შესაბამის უმაღლეს სასწავლებელთან. ხელშეკრულების გაფორმებით სრულდება უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის პროცესი.

აბიტურიენტის უფლება-მოვალეობები:

- აბიტურიენტი უნდა გამოცხადდეს საგამოცდო ბარათში აღნიშნულ მისამართზე, წარმოდგენილი განრიგის მიხედვით და გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ აბიტურიენტი გამოცდაზე არ დაიშვება;
- რეგისტრაცია იწყება გამოცდის დაწყებამდე ერთი საათით ადრე;
- აბიტურიენტმა თან უნდა იქონიოს საგამოცდო ბარათი და მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი (მათთვის, ვისაც არ შესრულებია 16 წელი, სკოლის დირექტორის მიერ დამოწმებული ცნობა ფერადი ფოტოსურათით);
- აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა გარდა გამაგრილებელი სასმელის (პლასტმასის ბოთლით), პირადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა;
- აბიტურიენტი უნდა დაემორჩილოს აბიტურიენტის უფლება-მოვალეობების ჩამონათვალით გათვალისწინებულ წესებს.

წესები, რომლებიც აბიტურიენტმა უნდა დაიცვას ტესტირების პროცესში:

• სამუშაო მაგიდებთან დასხედით იმ ნომრების მიხედვით, რომლებიც რეგისტრაციის დროს დაგირიგდათ;

• არ დააწყოთ მერხზე არც ერთი ნივთი პირადობის მოწმობის, გელიანი კალმის (რომელიც გამოცდის დაწყებამდე დაგირიგდებათ), ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის გარდა;

• სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• ვალდებული ხართ, ტესტების რვეულებისა და პასუხების ფურცლების დარიგებისას დაკვირვებით, სათითაოდ გადაფურცლოთ ტესტის რვეული და პასუხების ფურცელი კურატორთან ან მეთვალყურესთან ერთად, რათა დარწმუნდეთ, რომ ტესტის რვეული და პასუხების ფურცელი დაუზიანებელია, რის შემდეგაც სექტორის უწყისში მოაწერთ ხელს დაუზიანებელი ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის მიღების თაობაზე;

• თუ ხარვეზიანი ტესტის რვეული ან პასუხების ფურცელი შეგხვდათ, მას ახლით შეგიცვლიან;

• პასუხების ფურცელზე კურატორის ან მეთვალყურის მიერ დაკრული შტრიხკოდის ნომერს საკუთარი ხელით გადაიტანთ სექტორის უწყისის შესაბამის გრაფაში;

• არ შეიძლება შტრიხკოდის საწერი კალმით გაფერადება ან სხვაგვარი დაზიანება! ასეთ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება;

• ტესტზე მუშაობის დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება ტესტების რვეულებისა და პასუხების ფურცლების დარიგება (პასუხების ფურცლებზე დაიკვრება შტრიხკოდები) და დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. ამის თაობაზე თქვენ გაცნობებთ გამოცდის კურატორი ან მეთვალყურე;

• პასუხების ფურცლის შევსება დასაშვებია მხოლოდ გელიანი კალმით, რომელიც გამოცდის დაწყებამდე დაგირიგდებათ;

• იმ შემთხვევაში, თუ პასუხების ფურცლის შევსებისას გამოიყენებთ განსხვავებულ კალამს, მიიღებთ გაფრთხილებას და ჩამოგერთმევათ პასუხების ფურცელი, რომლის ნაცვლად გადმოგეცემათ პასუხების სათადარიგო ფურცელი, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოყენებული იქნება სხვა კალამი არ გასწორდება;

• თუ დროზე ადრე დაიწყებთ ტესტზე მუშაობას, მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• კურატორს ან მეთვალყურეს მხოლოდ ხელის აწევით შეგიძლიათ მიმართოთ;

• გამოცდის მსვლელობისას, საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ დროებით დატოვოთ საგამოცდო სექტორი თანმხლებ პირთან ერთად. ეს დრო არ დაემატება საგამოცდო დროს;

• ორი აბიტურიენტი ერთდროულად ვერ დატოვებს საგამოცდო სექტორს;

• აკრძალულია კურატორის ან მეთვალყურისათვის ტესტის შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა. ამ დროს მიიღებთ გაფრთხილებას, დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი. ერთმანეთთან გადალაპარაკების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• ერთმანეთის დახმარების მცდელობის ან სხვა პირისაგან დახმარების მიღების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• დამხმარე მასალის გამოყენების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• აკრძალულია ლექსიკონის, პეიჯერის, მობილური ტელეფონის, კალკულატორის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს გამოცდაზე შეტანა. მათი, თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში, აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოიხსნებით გამოცდიდან;

• გამოცდის დასრულებამდე 10 წუთით ადრე შეგახსენებთ დროს, რათა დროულად დაასრულოთ ტესტზე მუშაობა;

• დრო არავის დაემატება (გარდა იმ აბიტურიენტებისა, რომელთაც გააჩნიათ სამედიცინო ცნობით დადასტურებული ფუნქციონალური დარღვევები);

• თუ დროზე ადრე დაასრულებთ ტესტზე მუშაობასა და პასუხების ფურცლის შევსებას, ხელის აწევით მიმართავთ მეთვალყურეს ან კურატორს, რომლებსაც დადგენილი წესით ჩააბარებთ ტესტის რვეულს, პასუხების ფურცელს და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვებთ საგამოცდო სექტორს;

• არ გასწორდება იმ აბიტურიენტის ნაშრომი, რომელიც საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ დახურავს ტესტს;

• არ გასწორდება იმ აბიტურიენტის ნაშრომი, რომელიც პასუხების ფურცელს დააწერს სახელს, გვარს ან პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე სხვა ინფორმაციას, მაგ., მეტსახელს ან რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;

• ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის ჩაბარების ფაქტს ხელმოწერით დაადასტურებთ სექტორის უწყისში;

• წესრიგის დარღვევისა ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფის შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• გახსოვდეთ, პასუხების ფურცლის გაკეცვა არ შეიძლება!

• გაკეცილი პასუხების ფურცელი არ გასწორდება.

თქვენ ვალდებული ხართ, დაემორჩილოთ გამოცდის კურატორის, მეთვალყურის ან სხვა პასუხისმგებელი პირის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მათ შორის, გადაწყვეტილებას გამოცდიდან თქვენი მოხსნის შესახებ.

თუ აბიტურიენტი მიიჩნევს, რომ დაირღვა საგამოცდო პროცედურით დადგენილი წესი, მას შეუძლია გამოცდებს შორის პერიოდში შეიტანოს განცხადება სააპელაციო საბჭოს სახელზე, საგამოცდო პერიოდში საგამოცდო ცენტრთან გახსნილ სპეციალურ პუნქტში.

გისურვებთ წარმატებას!

გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი: 43 92 12. ვებგვერდი: www.naec.ge ელექტრონული ფოსტა: pr@naec.ge

ინფორმაცია

ძლევაი საკვირველი

გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში, დავით აღმაშენებლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ძლევაი საკვირველი“ მეტად საინტერესო მოსასმენი იყო – ისტორიული წყაროებიდნ მოძიებული დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ამსახველი მასალები, ბიოგრაფიული ცნობები, აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ლექსები...

მოსწავლეებმა **ნიკა გარუჩავამ, ივერი ახვლედიანმა, გიორგი გვეტაძემ, ნუცა ხომერიკმა, ანა ყაჯრიშვილმა, ანა ჟვანიამ, გიორგი ცერცვაძემ, სანდრო ჩომახიძემ, ვაჟა ოსეფაშვილმა, გიორგი ჭკუასელმა, ირაკლი ფოთოლაშვილმა, ირაკლი კახეთელიძემ, თორნიკე ანთიძემ, ლაშა კოხრეიძემ** და სხვებმა საინტერესოდ ისაუბრეს დავით აღმაშენებლის გამეფებაზე იმ რთულ ეპოქაში, როდესაც საქართველოში „დიდი თურქობა“ მძვინვარებდა. მემატიანის თქმით *„და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყნისათა“*. იმაზე, თუ როგორ იწყებს ჭაბუკი მეფე ხმალჩაუგებელ ბრძოლას შინაურ ორგულთა და გარეშე მტერთა წინააღმდეგ, რაც მისი მეფობის განმავლობაში, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გრძელდებოდა.

მოსწავლეები გულმოდგინედ ჰყვებოდნენ დავით აღმაშენებლის კულტურულ, საეკლესიო და საქველმოქმედო მოღვაწეობაზე, „ახალ ათონად“ და „ახალ იერუსალიმად“ წოდებულ გელათის და იყალთოს აკადემიებზე, დავითის მიერ წარმოებულ აღმშენებლობით საქმიანობის მაჩვენებელ იმ ეკლესია-ტაძრებსა და ციხე-კოშკებზე, ზოგი ჩვენამდე მტკიცედ რომ შემონახულა, ხოლო ზოგი ნანგრევებად შემორჩენია საქართველოს. ისაუბრეს იმაზე, თუ რატომ უწოდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა დიდგორში მოპოვებულ გამარჯვებას „ბრძოლაი საკვირველი“, რომელიც სათავედ დაედო აღმაშენებლის ეპოქის შემდეგდროინდელ უთვალავ გამარჯვებებს.

პირველკლასელებმა **სოფო დევდარიანმა** და **ანა კაპანაძემ** მშვენივრად გაართვეს თავი დიდი მეფისადმი მიძღვნილი ლექსების კითხვას.

ღონისძიებამ მოსწავლეებს კიდევ უფრო გაუღრმავა ცოდნა დავით აღმაშენებლის ეპოქის და საქართველოს ბრწყინვალე წარსულის შესახებ.

ფლორა მილორავა

გაგრძელებული ტრადიცია

კულტურის ქრონიკა წინანდლიდან

წლების შემდეგ, განახლებულმა წინანდალმა, ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციის დასაბრუნებლად, მწერლებს უმასპინძლა. მუზეუმის მესვეურები საზოგადოებას ქართული, და არა მარტო ქართული, მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენების განსახილველად, გამოფენებისა და ახალი წიგნების წარსადგენად მუზეუმის სივრცეს სთავაზობენ. ეს ჩანაფიქრი, მუზეუმის დირექტორმა და ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალმა, **მაია კოკოჩაშვილმა**, სახლ-მუზეუმის გასაცოცხლებლად და პირვანდელი იერ-სახის დასაბრუნებლად გადაწყვიტა.

„სიმბოლურიცაა, რომ პირველად, განახლებულ წინანდალში, მწერლები მოვიწვიეთ. მოგეხსენებათ, ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის ლიტერატურა რაოდენ მნიშვნელოვანი იყო და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასე ბუნებრივად გრძელდება ტრადიცია, რომელიც დიდი ხნის წინ იღებს სათავეს. ასეთი ღონისძიებებით სახლი, სადაც ჩემი დიდი წინაპარი ცხოვრობდა, ნელ-ნელა დაიბრუნებს თავის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას – გაცოცხლდება წარსული. – გვითხრა მაია კოკოჩაშვილმა, – სიამოვნებით დავუთმობთ კლუტურის სხვა დარგის წარმომადგენლებსაც მუზეუმის სივრცეს. მე, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალს, ეს სიხარულის შეგრძნება გაათმაგებული მაქვს და ყოველი დღე აქ უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, ყოველი დილის გათენებას მოუთუმენლად ველოდები.

სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. სავარაუდოდ, გაზაფხულზე ჩავატარებთ კონცერტს, ჩემი და კვარტეტთან ერთად მოცარტს დაუკრავს; უფრო შორეული გეგმები კი გამოფენაა, გვინდა ქართველ თავადთა პორტრეტები და ფოტოები გამოვფინოთ, ბუნებრივია, პირველ გამოფენას ჭავჭავაძეებს მივუძღვნით.“

8 თებერვალს, ლიტერატურის მოყვარულებმა **ლაშა ბუღაძისა** და **დათო ქართველიშვილის** ახალი რომანების პრეზენტაციაზე მოიყარეს თავი. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ გამოცემული ახალი წიგნების: „კარიკატურისტი“ და „ახალი წიგნი“ – პრეზენტაცია არ იყო შემთხვევითი, რადგანაც, როგორც გამომცემლობის დირექტორმა, **თინათინ მამულაშვილმა** გვითხრა: *„გარდა იმისა, რომ ორივე მწერალი დღეს საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ორივე „წინანდლის“ პრემიის ლაურეატია. ამ პრემიის მინიჭების შემდგომ მიიღეს მათ პრემია „საბა“. ბუნებრივია, მუზეუმისაგან ასეთი შემოთავაზება დიდი სიამოვნებით მივიღეთ. ეს მართლაც არაჩვეულებრივი სივრცეა კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად. ვფიქრობ, შთაბეჭდილებებიც შესაბამისი იქნება. იმედია, ახალგაზრდა მწერლები მომავალშიც არაერთ საინტერესო ნაწარმოებს შემოგვთავაზებენ. როგორც დღეს გაირკვა, ორივე ახალ რომანზე მუშაობს. არ ვიცი, სად ჩატარდება შემდგომი რომანების პრეზენტაცია, თუმცა იქნება ეს წინანდალი თუ სხვა მუზეუმი ლიტერატურის მოყვარულებისათვის და გამომცემლობისთვის მისაღები იქნება.“*

ლაშა ბუღაძე: *„თუკი ასეთი ტრადიცია დამკვიდრდება და აქ, წინანდალში, მოგვეცემა საშუალება ვისაუბროთ წიგნებზე, და არა მხოლოდ ლიტერატურაზე, ზოგადად კულტურაზე, ძალიან კარგი იქნება – აქ საოცარი გარემოა. ეს ისეთი ტიპის მუზეუმია, ყოველ შემთხვევაში, ჩემი შთაბეჭდილებით, რომელიც მხოლოდ მუზეუმი კი არა, ცოცხალი მუზეუმია და ავთენტურობის შთაბეჭდილება იქმნება. ყველა თვალსაზრისით კომფორტულია და ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვეხებით XIX საუკუნის ისტორიას – ეს შთაბეჭდილებები ხელშესახებია.*

დათოს ახალი რომანი წავიკითხე და, ვფიქრობ, მართლაც საინტერესო წიგნია. დღეს ძალიან ბევრი საინტერესო წიგნი იწერება, მაგრამ ბევრი არ წერს მნიშვნელოვან წიგნებს. ეს ისეთი ტიპის წიგნია, რომელიც, ჩემი აზრით, ლიტერატურულ ჩარჩოებს აფართოებს. რომანში მნიშვნელოვანი პროცესია ასახულია – თუ როგორ იქმნება ლიტერატურული ტექსტი და, საერთოდ, რა არის ეს პროცესი, ყველაფერი კი სიუჟეტის თხრობის პარალელურად ვითარდება. ვფიქრობ, ერთი მხრივ, საქმე გვაქვს ლიტერატურულ ტექსტთან და მეორე მხრივ კი – სამეცნიერო ტექსტთანაც, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ამ რომანით საქმე გვაქვს მწერლის თვითკვლევასთან და, საერთოდ, ლიტერატურული პროცესის ანალიზთან, უფრო სწორად ეს წიგნი რაღაცის შექმნის ანალიზის პროცესია. ჩემთვის ძალიან საინტერესოა სიუჟეტიც. თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. მწერალს (არა დათო ქართველიშვილს) იბარებს ცნობილი ბიზნესმენი და სთხოვს, მის შესახებ დაწეროს მემუარები, ბიოგრაფია, თან ძალიან რთულ საქმეს აკისრებს, რადგანაც ბიზნესმენი არაფერს უყვება მწერალს თავის შესახებ. მწერალი უნდა გადასახლდეს საცხოვრებლად მასთან სახლში, დააკვირდეს, კარგად გაიცნოს ბიზნესმენი და შემდგომ თავის შთაბეჭდილებებისამებრ, ააგოს მისი ცხოვრება. ძალიან უცნაურ ეფექტთან გვაქვს საქმე, მაგრამ ყველაფერს არ გეტყვით. საბოლოოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნის სახით ჩვენ გვეკარგება რეალობის განცდა, ვიბნევით, სად არის ამ კონკრეტული მწერლის მიერ შეთხზული და გამოგონილი რეალობა და სად იწყება ის რეალობა, რომელშიც თავიდან მწერალმა შეგვიყვანა. სად იწყება ლიტერატურა და სად მთავრდება რეალობა, აი ამ ზღვარზეა დათო ქართველიშვილის წიგნი დაწერილი და თანაც ძალიან ეფექტურად. ასევე ეფექტურია ფინალიც, მაგრამ არც ფინალის შესახებ გეტყვით რაიმეს, რადგანაც მკითხველს ამ დიდ სიამოვნებას არ წავართმევ.

რაც შეეხება ჩემ წიგნს, ის უფრო მსუბუქია. გარკვეული თვალსაზრისით დეტექტივია. ორიოდე სიტყვით შემიძლია გითხრათ, რომ აქ არის ამბავი ადამიანზე, რომელიც ხატავს კარიკატურებს. აღმოჩნდება, რომ ადამიანები, რომლებსაც კარიკატურისტი ხატავს, კვდებიან ან კლავენ. ბუნებრივია, მასზე უჩნდებათ ეჭვი, არის თუ არა დამნაშავე და ა.შ.

რომანის მეორე მთავარი გმირია გამომძიებელი. ის სხვა გზით ცდილობს გამოიძიოს ამბავი, ანუ არ მიჰყვება გამოძიების ოფიციალურ გზას. ფიქრობს, რომ სინამდვილეში აქ საუბარია რაღაც სნობიზმზე, რომ არსებობს ერთგვარი ძალა, ყველაფრის მაკორექტირებელი, მარედაქტირებელი ძალა, როგორიც გარკვეული მიზეზების გამო, სპობს სხვადასხვა ადამიანებს მათი საქმეებიდან და ქმედებებიდან გამომდინარე.

გადავწყვიტე, რომ კარიკატურები, რომლებიც ამ წიგნში იქმნება, თავად დამეხატა. წიგნის პერსონაჟი კარიკატურისტი სხვა ტიპის კარიკატურებსაც ხატავს და რომანის ძირითადი ნაწილი სწორედ მისი შემოქმედების სხვა სფეროსაც ეხება. დიდი სურვილი მქონდა, ეს რომანი განსხვავებული ყოფილიყო ჩემი პირველი ორი წიგნისაგან, რომელთა პერსონაჟები და პათოსი 25 წლის ასაკს არ სცილდება, თუმცა ეს არ იყო ხელოვნური არჩევანი, ყველაფერი ბუნებრივად მოხდა და გადავინაცვლე სხვა სიბრტყეში, ვცადე, ისეთ თემებზე დამეწერა, რომელზეც ადრე არ მიფიქრია. იმედია, „კარიკატურისტის“ სქელტანიანობა არ დააფრთხობს მკითხველს და სიამოვნებით წაიკითხავს.“

დათო ქართველიშვილი: *„ლაშამ ორივე წიგნი მშვენივრად წარადგინა. მისი რომანის კითხვა დავიწყე და, მინდა გითხრათ, რომ ძალიან საინტერესოა. ჩემი წიგნის შესახებ კი ლაშას ერთი მთავარი თემა გამორჩა, ეს ის თემაა, რისთვისაც საერთოდ შეიქმნა ჩემი რომანი – ეს თემა უკვდავებაა. მთავარი გმირის სურვილია, რომ არ მოკვდეს, მისი სხეული უკვდავი იყოს. სწორედ ამან დამაწერინა რომანი. როცა ვუსმენ ადამიანების საუბარს, ვგრძნობ, რომ მეტაფიზიკური საკითხებიც ფიზიკური გახდა და ყველაფერი დამიწებულია. ამ ფაქტმა გადამაწყვეტინა დამეწერა, როგორ დამიწდა მეტაფიზიკური კატეგორიები. დღეს, როცა სამშობლოს ვამბობთ, აღარ იგულისხმება სამშობლო, ან თუნდაც უკვდავებაში – უკვდავება. რაც შეეხება ფორმას, როგორ იქმნება ტექსტი, ამის შესახებ იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ მიმაჩნია, ლიტერატურა უფრო ესთეტიკური ფენომენია და მხოლოდ ამის შემდეგ დგება თემის აქტუალობაც, მოქალაქეობრივი პათოსიც, ისიც, თუ რამდენად ხარ პატრიოტი და ა.შ. მოკლედ, მინდოდა შემექმნა წიგნი – ხელოვნება ხელოვნებისთვის, როგორ გამომივიდა არ ვიცი“.*

„კარიკატურისტის“ და „ახალი წიგნის“ პრეზენტაციის ორიგინალური ფორმა წინანდლისეულ ატმოსფეროში საუკეთესო „ინტრიგა“ აღმოჩნდა იმისთვის, რომ მკითხველის ინტერესი გაორმაგებულიყო. ავტორებისეულმა განმარტებებმა და მათ მიერ დაწყებულმა საჯარო კითხვამ მათივე რომანებისა კითხვის დაუყოვნებლივ გაგრძელების სურვილი იმდენად აღძრა, რომ უკან დაბრუნებული სტუმრები გზაშივე შეუდგნენ გამომცემლობის მიერ ნაჩუქარი რომანების კითხვას. ახლა შევეცდები ეს სურვილი ჩვენი გაზეთის მკითხველსაც აღვუძრა და გავუმხელ, რომ: *„ქალაქში უცნაური მკვლელობების სერია დაიწყო. კლავენ ყველას, ვინც კი კარიკატურისტმა დახატა და ჟურნალში გამოაქვეყნა. ერთიმეორის მიყოლებით პოულობენ მინისტრის, რეჟისორის, ბანკირის თუ გენერლის გვამს. თან ქალაქში უცნაური წარწერები ჩნდება. ჟურნალის რედაქტორი ამ ამბისაგან სკანდალის აგორებას ცდილობს, მაგრამ მასაც და გაოგნებულ კარიკატურისტსაც ეჭვმიტანილებად მიიჩნევენ და აპატიმრებენ“* – ეს ლაშა ბუღაძის „კარიკატურისტია“, თუმცა აქვე გეტყვით, რომ ეს საშიშროება არ ემუქრება ზაალ სულაკაურს (არც მის მიერ დახატულ ადამიანებს), რომელიც პრეზენტაციაზე მიწვეულ სტუმრებს და ავტორებს ხატავდა, თან გაუჩერებლად. ამ დეტექტიურ ქარგაზე აგებულ რომანში ბევრი უცნაური, საშიში და სასაცილო ამბავი ხდება. ხოლო იმ მკითხველს, რომელსაც დააინტერესებს გაარკვიოს რომელია დათო ქართველიშვილის „ახალი წიგნის“ რეალური ავტორი, ვეტყვი, რომ *„ახალი წიგნის“ რეალური ირაკლი ანდღულაძე თავისივე პროტოტიპი პერსონაჟისაგან განსხვავებით, ცოლიანია და თავის ახალ რომანში განვითარებულ მოვლენებს საკუთარი ცხოვრების პარალელურად აღწერს, თუმცა რეალური მწერლისა და პერსონაჟი მწერლის ცხოვრება ნელ-ნელა ერთმანეთში ირევა და სულ უფრო და უფრო გაურკვეველი ხდება. ვინ იცის, იქნებ წიგნის პერსონაჟობასა და რეალობას შორის ზღვარი სულაც არაა?!“*

ჩვენ კი, XXI საუკუნის წინანდლის კულტურის ქრონიკას ამ წერილით ვხსნით, როდის დაიწერება შემდეგი წერილი და ვინ იქნებიან ქრონიკის შემდეგი სტუმრები, ეს სახლ-მუზეუმის მესვეურებზეა დამოკიდებული.

ლალი ჯელაძე

„სახელოვანი სიკვდილი თუ ნაზრახი სიცოცხლე“

ერთი გაკვეთილი ქუთაისის 21-ე საჯარო სკოლაში

ქუთაისის 21-ე საჯარო სკოლას მეტად საინტერესო ისტორია აქვს. იგი ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. მისი პირველი დირექტორი **დიმიტრი უზნაძე** იყო, ამიტომაც სკოლა დიდი სიამაყით ატარებს ქართველი მამულიშვილის სახელს.

2007 წლის სექტემბრიდან სკოლას ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეული დირექტორი **რუსუდან ჭეიშვილი**. მართვას, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზებას, მასთან ერთად ახორციელებს ორი მოადგილე – **ნატო ავალიანი** და **ნანა ცანავა-მიქელაძე**.

სკოლაში ეფექტური ღონისძიებების ჩატარებით ბევრ სიახლეს ჩაეყარა საფუძველი პრიორიტეტებად არის მიჩნეული სწავლების მაღალი ხარისხი, მოსწავლეთა აზროვნების აქტივიზაცია, ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, ურთიერთობის უნარის ფორმირება.

დიდი ყურადღება ექცევა ინტერდისციპლინურ და ისტ ინტეგრირებულ სწავლებას. სკოლამ მონაწილეობა მიიღო „ირმის ნახტომის“ მიერ გამოცხადებულ მასწავლებელთა კონფერენციაში „ზამთარი 2009“, საგაკვეთილო გეგმების კონკურსში. გამოვლინდა გამარჯვებული გაკვეთილები, დაწყებით საფეხურზე: „უბედური ქორბუდა“ (III კლასი; პედაგოგი **მაკა კოსტავა**); საბაზო საფეხურზე „სახელოვანი სიკვდილი თუ ნაზრახი სიცოცხლე“ (IX კლასი; პედაგოგი **ნანა ცანავა-მიქელაძე**).

ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ IX კლასში (კლასის ხელმძღვანელი – **ელზა ტყეშელაშვილი**) ჩატარებულ გაკვეთილზე, რომელიც 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომს მიეძღვნა. ინტეგრირების კუთხით ჩართული იყო 5 საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა – ნანა ცანავა-მიქელაძე (საგაკვეთილო გეგმის ავტორი); ისტორია – **ანდრო ქინქლაძე**; გეოგრაფია – **მარინე შელია**; ინგლისური – **მარიამ მიქაუტაძე**; სამოქალაქო განათლება – **ზურაბ მუშკუდიანი**.

გაკვეთილზე გამოყენებულ იქნა ორი აქტივობა: სასწავლო პრეზენტაცია და დისკუსია „თავისუფალი მიკროფონი“.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს თემა „ომის ეტიკეტი და რუსული ინტერვენცია საქართველოში“. თემაზე მუშაობისას კლასი წინასწარ დაიყო 5 ჯგუფად. დაამუშავეს შემდეგი ქვეთემები:

ლიტერატორებმა – „შუასაუკუნეების ომის ეტიკეტის, საერთაშორისო სამართლისა და რუსული ინტერვენციის ასახვა ქართულ მწერლობაში“;

ისტორიკოსებმა – „რუსული ინტერვენცია საქართველოში“;

გეოგრაფებმა – „საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის მნიშვნელობა“;

ჟურნალისტებმა – „IV ხელისუფლების ინტერპრეტაციები“;

ექსპერტებმა – „საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციები და სჰს-ს ნორმების დარღვევა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში“.

პრეზენტაციის დროს ლიტერატორებმა წარმოადგინეს შუა საუკუნეების ომის ეტიკეტისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების ამსახველი ეპიზოდები ქართული მწერლობის ნიმუშებში. (აკ. წერეთლის „თორნიკე ერისთავისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით); შეადარეს ისინი რუსული ინტერვენციის ამსახველ ნაწარმოებებთან (ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“, კ. გამსახურდიას „დიდი იოსები“, კ. ნადირაძის „25 თებერვალი, 21 წელი“, კ. მაყაშვილის „მაროს“); ისაუბრეს, თუ როგორ იცავდნენ ჩვენი წინაპრები ომის ეტიკეტს და როგორ არღვევდა საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას რუსული იმპერიული ძალები საქართველოში I-II და III ინტერვენციის დროს; მათ გააანალიზეს ერთი და იგივე პრობლემა სხვადასხვა ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში; მხატვრული ტექსტების მიხედვით იმსჯელეს ეპოქის ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ;

მოსწავლეებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ იმპერიული რუსეთის ტაქტიკა და სტრატეგია არ შეცვლილა, რომ ცივილიზებული სამყაროსათვის, მათ შორის, ჩვენთვის, ასეთი მეთოდები არასდროს იყო დამახასიათებელი.

ისტორიკოსთა ჯგუფმა წარმოადგინა რუსულ-ქართული ურთიერთობის ძირითადი მომენტები მე-18-იდან დღემდე, ყურადღება გაამახვილეს გეორგიევსკის ტრაქტატზე, 1801 წლის მანიფესტზე, რუსეთის მიერ საქართველოს I-სა და 1921 წელს II ოკუპაციაზე; 1937 წლის რეპრესიებზე, საბჭოთა ხელისუფლებისა და გერმანიის ფაშისტური რეჟიმის საიდუმლო ურთიერთობებზე, ჰიტლერისა და სტალინის მიერ ევროპის გაყოფაზე, ეროვნული მოძრაობის აღმავლობაზე ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეთაურობით, 9 აპრილის ტრაგედიაზე, ხელისუფლების ცვლილებასა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე, ეროვნული ხელისუფლების დამხობასა და აფხაზეთის ომზე.

მოკვლეული მასალა მოსწავლეებმა დააკავშირეს თანამედროვეობასთან; შეაფასეს მიმდინარე პროცესები ისტორიულ კონტექსტში; გამოიტანეს დასკვნა, რომ რუსეთის I ინტერვენცია XIX ს-ის დასაწყისში, II ინტერვენცია 1921 წელს, თავისი მიზნებითა და ომის წარმოების მეთოდებით, III ინტერვენციის ანალოგიურია, რომელიც აფხაზეთის ომით დაიწყო და დღემდე გრძელდება.

გეოგრაფებმა განიხილეს საქართველოს გეოგრაფიული (ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური) მდებარეობა, გააანალიზეს ძველი აბრეშუმის გზის აღდგენის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის; განიხილეს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და „ნაბუკოს“ პროექტები და შეაფასეს მათი გავლენა ქართულ ეკონომიკაზე; იმსჯელეს იმის შესახებ, თუ რომელი მეზობელი ქვეყნები მიაჩნიათ ხელსაყრელად ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით. პრეზენტაციის დროს მოსწავლეები აქტიურად იყენებდნენ სხვადასხვა თემატურ რუკას, სურათსა და სქემას.

ჟურნალისტთა ჯგუფმა წარმოადგინა უცხოურ მასმედიაში გამოქვეყნებული მასალები ქართულ-რუსული ომის გაშუქებასთან დაკავშირებით; შეადარეს ერთმანეთს რუსული, ამერიკული და ევროპული პოზიციები და შეაფასეს მათი ობიექტურობა. აჩვენეს ამ ომისადმი ცნობილი პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მეთაურების (მედვედევის, პუტინის, ბუშის, სარკოზის, ლავროვის, კონდოლიზა რაისის, მერკერის, მაკკეინის, გეიტსის, კუშნერის, ჟირინოვსკის) დამოკიდებულებები; წარმოადგინეს მედვედევ-სარკოზის 6-პუნქტიანი გეგმის ინგლისურენოვანი ვარიანტი და შეაფასეს მისი შესრულების მიმდინარეობა.

მათი დასკვნით, რუსული მასმედიის პოზიცია მცდარი და აშკარად ტენდენციურია, რუსი ჟურნალისტები ასრულებენ ხელისუფლების დაკვეთას, რითაც არღვევენ ჟურნალისტური ეთიკის კოდექსს.

ექსპერტებმა გააანალიზეს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომში; ისაუბრეს საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგად ფუნქციებზე და გაარკვიეს მათი დამოკიდებულება ამ ომისადმი; შეაფასეს რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგები თავად რუსეთის ფედერაციისთვის და გამოიტანეს დასკვნა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ წარმოებული ომი, აგრეთვე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება, დიდი შეცდომა იყო, რაც მომავალში გამოიწვევს თავად ამ იმპერიული სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცებას.

პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებმა „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმი „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ გადააკეთეს სადისკუსიო თემად – „სახელოვანი სიკვდილი თუ ნაზრახი სიცოცხლე?“ დაუკავშირეს თანამედროვეობას, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომს და გამართეს დისკუსია. მათი მიზანი იყო პასუხები მიეღოთ ისეთ კითხვებზე, რომლებიც ერთობ აქტუალურია დღეს: თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით ამ კონფლიქტში, შეიძლებოდა თუ არა ომის თავიდან აცილება, რა შედეგები მივიღეთ ომის შემდგომ, რა პერსპექტივა აქვს საქართველოს მომავალში და ა. შ.

დისკუსიის მსვლელობისას საინტერესო იყო ინტერვიუ ომში მონაწილე სკოლის რეზერვისტ პედაგოგებთან (**ლაშა კოპალეიშვილი, ანდრო ქინქლაძე, დავით გორდულაძე**).

სასწავლო პრეზენტაციები შეფასდა განმავითარებელი, განმსაზღვრელი და ჯგუფური ფორმით, აგრეთვე გამოყენებულ იქნა თვითშეფასება ჯგუფური მუშაობისათვის.

ინდივიდუალური შეფასება მასწავლებელმა გამოიყენა დისკუსიის აქტივობასთან დაკავშირებით.

გაკვეთილზე თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინა მდიდარი ვიზუალური მასალა სლაიდ-შოუსა და აუდიო-ვიდეოჩანაწერების სახით, აჩვენეს ნანყვეტები ედვინ სნორის დოკუმენტური ფილმიდან „საბჭოთა ისტორია“ და საკუთარი ძალებით მომზადებული კლიპები: „25 თებერვალი, 21 წელი“ (**მარიამ ტყეშელაშვილი**) ; „ჩვენი პროტესტი“ (**გიორგი მუაავია**);

პრეზენტაციამ საინტერესოდ ჩაიარა და დიდი შთაბეჭდილება დატოვა დამსწრე აუდიტორიაზე. მოწვეული სტუმრებიც აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მასწავლებლის, ნანა ცანავა-მიქელაძის, დამსახურება და პროფესიონალიზმი იმაში, რომ გაკვეთილი გაჟღენთილი იყო პატრიოტული სულისკვეთებითა და ეროვნული სიამაყის განცდით. სწორედ ასეთი პედაგოგები შეძლებენ თუნდაც მცირე წვლილი მაინც შეიტანონ ქვეყნის გამთლიანებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში.

მარინე უკლება

P.S. გაკვეთილმა დიდი კმაყოფილება მომანიჭა, როგორც ერთ-ერთ რიგით მსმენელს და უცნაური განცდაც დამეუფლა, რადგან 30 წლის წინ, სწორედ ამ სკოლაში შედგა ჩემი, როგორც პედაგოგის, დებიუტი (მაშინ სკოლის დირექტორი დამსახურებული მასწავლებელი **ქეთევან ნადირაძე** გახლდათ). მეხსიერებაში კინოკადრებივით გაიარა 70-იანმა წლებმა, მაგრამ შედარება ნამდვილად არ შეიძლება მასწავლებელთა და მოსწავლეთა მსჯელობის, საკითხების გაანალიზებისა თუ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით. XXI საუკუნეში 21-ე სკოლა სრულიად განსხვავებული და წარმატებული ვიხილე.

თბილისის 47-ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის კათედრა იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კათედრის ღვაწლმოსილი პედაგოგი

ცირა ქართველიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის 47-ე საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინგლისური ენის მასწავლებელი

ცირა ქართველიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

17 წლის ჩემპიონი



წინა კვირაში ჩატარებულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატში ყველა გააკვირვა 17 წლის ბათუმელმა **ქემალ ხარაბაძემ**, რომელმაც უმსუბუქეს – 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში დამსახურებულად გაიმარჯვა. მართალია, ამ წონაში, ტრავმის გამო, ნაკრების ლიდერი **ლაშა გოგიტაძე** არ ჭიდაობდა, მაგრამ ეს მის გამარჯვებას სულაც არ აკნინებს – ახალგაზრდა ფალავანმა ბევრად უფროსსა და გამოცდილ კონკურენტებს ტოლი არ დაუდო, ყველა შეხვედრაში ვაჟკაცურად იბრძოლა და სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ ქემალი დღის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედაც დასახელდა. არადა, იმ დღეს ტატამზე 4 წონითი კატეგორიის ფალავნები იბრძოდნენ.

ბათუმის მე-19 საჯარო სკოლის მოსწავლე ქემალ ხარაბაძე წარმოშობით ხულოელია, თუმცა რამდენიმე წელიწადი ოზურგეთში, სოფელ ნასაკირალში ცხოვრობდა და ჭიდაობაც იქ დაიწყო, ოლიმპიურ ჩემპიონ **მანუჩარ კვირკველიას** მწვრთნელთან – **გურამ მაჭარაშვილთან**. შარშან ჭაბუკებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, მერე კი, რაკი მწვრთნელები ენდობოდნენ, ძალები ახალგაზრდებშიც მოსინჯა. თუმცა აქ მხოლოდ ნდობა არ ყოფილა გადამწყვეტი – ქემალ ხარაბაძემ საქართველოს პირველობაზე ამ ასაკშიც იყოჩაღა და ახალგაზრდების ევროპისა და მსოფლიო პირველობებზეც წაიყვანეს. ურიგოდ არც იქ უჭიდავია, განსაკუთრებით – ევროპაზე, სადაც მეშვიდე ადგილზე გავიდა, მაგრამ, ბუნებრივია, 3-4 წლით უფროსებთან შერკინება ცოტა მაინც გაუჭირდა.

მას წელსაც ბევრი შეჯიბრება ელის – ასაკობრივი ნაკრებების გარდა, გამოსვლის უფლება უკვე ეროვნულ გუნდშიც მოიპოვა, თუმცა საეჭვოა, მწვრთნელებმა ასე დატვირთონ. სავარაუდოდ, წელს მას ეროვნულ გუნდში არ ჩართავენ ან მხოლოდ რიგით ტურნირებში აჭიდავებენ გამოცდილების მისაღებად. ასაკის გარდა, ეროვნულ გუნდში მოხვედრაში მას ხელს გოგიტაძეც შეუშლის, რომელიც მალე ჩადგება მწყობრში. არა გვგონია, ხარაბაძე მის დასამარცხებლად ჯერ მზად იყოს, თუმცა არც ეროვნული გუნდია შორეული პერსპექტივა.

აქვე შეგახსენებთ, რომ სამი კვირის წინ გამართულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატის აღმოჩენად, ასევე, 17 წლის ფალავანი, გორელი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** იქცა.

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება

ჰოლანდიის ქალაქ ეინთჰოვენში დასრულდა 16 წლამდე ასაკის წყალშიმხტომელთა საერთაშორისო ტურნირი. საქართველო ამ ასპარეზობაზე 4-მა წყალში მხტომელმა წარადგინდა. მათ სხვადასხვა დისციპლინებში 5 მედალი მოიპოვეს.

14 წლის **თამარ სიჭინავამ** თავისზე უფროს კონკურენტებს აჯობა და უნივერსალური შედეგი აჩვენა. მოიპოვა 2 ოქროს მედალი – პირველი ადგილი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და 5-მეტრიანი კოშკურიდან ხტომებში.

აკაკი ივანიშვილმა ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა – 1 და 3-მეტრიან ტრამპლინებიდან ხტომაში.

14 წლის **ალექსანდრე გუჯაბიძემ** კი, 16 წლამდე ტრამპლინიდან მხტომელთა შორის, მესამე ადგილი დაიკავა – 10-მეტრიანი კოშკურიდან რთული ნახტომის შესრულების დროს მცირე შეცდომა დაუშვა.

საქართველოს წყალში მხტომელ გოგონათა და ჭაბუკთა ნაკრებს მწვრთნელის რანგში ტურნირზე ახლდა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი **ირაკლი ბართაია**. მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ქართველი სპორტსმენების წარმატება: *„ასეთ კონკურენციას არ ველოდით. გუნდის უმეტესობამ წარმატებით დაძლია საკმაოდ რთული ეტაპი. ზოგიერთ დისციპლინაში 20-28 სპორტსმენი მონაწილეობდა 12 ქვეყნიდან. ვფიქრობთ, ღირსეულად ვიასპარეზეთ“.*

ამ ტურნირზე ქართველმა სპორტსმენებმა კარგი გამოცდილება მიიღეს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, ამ შემადგენლობით, ივნისში, ბუდაპეშტში, ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება. თუმცა, მანამდე ბელორუსიასა და გერმანიაში საერთაშორისო ტურნირებზე მოუწევთ ასპარეზობა.

აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე იმსაჯა ქართველმა **ისაკ ყეინიშვილმა.**

ეინთჰოვენში წყალშიმხტომელთა ნაკრების გამგზავრება თბილისის მერიის სპორტის სამსახურმა დააფინანსა.

წარუმატებელი ასპარეზობა

16-წლამდე ჩოგბურთელთა გუნდებმა წარუმატებლად იასპარეზეს ევროპის ზამთრის თასის ჯგუფურ ეტაპებზე. გოგონათა ნაკრებმა – **ნინო სუჯაშვილმა, თაკო კომახიძემ** და **სალომე კვიტაშვილმა**, იტალიურ მანიაგოში, ორივე შეხვედრა 0:3 დათმეს, მეოთხედფინალში – პოლონეთთან, მეექვსე ადგილისთვის გამართულ შეხვედრაში – იტალიელებთან და ჯგუფში ბოლო, მეშვიდე ადგილი დაიკავეს.

ამავე ასაკის ვაჟებმა, ფრანგულ შოლეში, ოდნავ უკეთ იასპარეზეს. მართალია, მათაც ორივე შეხვედრა დათმეს და ბოლო ადგილზე გავიდნენ, მაგრამ მინიმალური სხვაობით დამარცხდნენ – 1:2, ჯერ თურქეთთან, მერე – პორტუგალიასთან. ამ გუნდში **ალექსანდრე მეტრეველი, გიორგი ცივაძე** და **დავით ხუციშვილი** შედიოდნენ. აღსანიშნავია, რომ მეტრეველს ზურგის კუნთი დაეჭიმა, რამაც გუნდი საგრძნობლად აზარალა, თორემ, ეგებ, უკეთესი შედეგიც ჰქონოდათ.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.